საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ია გაბედავა - კოლეგიის თავმჯდომარე

არჩილ ჩოფიკაშვილი - კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი - მ. ზ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 01.05.2020

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №040/20

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ნ. ს.-ს მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. ს.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2020 წლის 01 მაისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა მ. ზ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ნ. ს.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი ნ. ს. იცავს მისი მოწინააღმდეგე მხარის - ნ. გ.-ს ინტერესებს. მ. ზ.-ს ნ. გ.-სთან ჰქონდა საქმიანი ურთიერთობა და ამ ურთიერთობის დაწყების დღიდან საქმეში ჩართული იყო ადვოკატი ნ. ს.. საქმიანი ურთიერთობა მოიცავდა საჩივრის ავტორის კუთვნილი ბინის იპოთეკით დატვირთვას, რომელიც მ. ზ.-მ შეიძინა ი. ბ.-სგან. ადვოკატ ნ. ს.-ს დაჟინებული მოთხოვნით, რაც მან პროცედურული სიმარტივით ახსნა, საჩივრის ავტორსა და ნ. გ.-ს შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება. მხარეთა შორის ზეპირსიტყვიერად განისაზღვრა, რომ კონკრეტული დროის გასვლის შემდეგ, ნ. გ. უკან გადაუფორმებდა ქონებას მ. ზ.-ს თანხის დაბრუნების სანაცვლოდ. ნ. გ.-მ საჩივრის ავტორს

გადასცა 21 000 აშშ დოლარი. ბინაში კვლავ ცხოვრობდა ძველი მესაკუთრე ი. ბ., რის გამოც მ. ზ.-მ, ნ. გ.-ს დაუთმო საკუთარი საცხოვრებელი ფართი. საჩივრის ავტორის მიერ თანხის მობილიზების შემდეგ ნ. გ.-მ, ადვოკატ ნ. ს.-ს დახმარებით, უარი განაცხადა ქონების დაბრუნებაზე და იმ ფართის გამოთავისუფლებაზე, რომელსაც დღემდე არამართლზომიერად ფლობს.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2020 წლის 28 მარტს ადვოკატმა ნ. ს.-მ სამართლებრივი დახმარება შესთავაზა ი. ბ.-ს და უთხრა, რომ მას დავა დაეწყო მ. ზ.-ს წინააღმდეგ ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით, სანაცვლოდ კი შესთავაზა სადავო ქონების ნახევარი. ი. ბ.-მ აღნიშნული ფაქტი უამბო მ. ზ.-ს.

1.4 საჩივრის ავტორმა 2020 წლის 29 ივნისის სხდომაზე განმარტა, რომ ადვოკატი ნ. ს. მის ინტერესებს არ იცავდა, თუმცა 2020 წლის 03 ივლისს დამატებით წარმოდგენილ განმარტებაში მიუთითა, რომ ნ. გ.-სთან ურთიერთობის დაწყების დროს, ადვოკატმა ორივე მხარის ინტერესების დაცვის სურვილი გამოთქვა. ამ ეტაპზე, ადვოკატი იცავს მხოლოდ ნ. გ.-ს ინტერესებს, რადგან ის მისი მეგობარია. ადვოკატი ნ. ს. ასევე იცავს ი. ბ.-ს ინტერესებს, რომელიც არის ფსიქიკურად დაავადებული და მას ფაქტობრივად მეურვეობას უწევს საჩივრის ავტორი, თუმცა ამის იურიდიულად, დამადასტურებელი დოკუმენტი მას არ გააჩნია.

1.5 საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ ადვოკატ ნ. ს.-ს მიერ დარღვეულია ინტერესთან კონფლიქტი, რადგან ის იცავდა საჩივრის ავტორის ინტერესებს, ამჟამად კი იცავს მოწინააღმდეგე მხარეს. ასევე, ინტერესთა კონფლიქტია იმ ფაქტის მიმართ, რომ ადვოკატი იცავს საჩივრის ავტორის ოჯახის წევრის - ი. ბ.-ს ინტერესებს და ამავე დროს იცავს საჩივრის ავტორის მოწინააღმდეგე მხარის ინტერესებს.

2. მოწმე მ. ჯ.-ს განმარტება:

2.1 მოწმე მ. ჯ. არის საჩივრის ავტორის მეგობარი. მოწმის საქმიანობა უკავშირდება უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვას, ქონების დაგირავებას და იპოთეკით დატვირთვას. მოწმის განმარტებით, მ. ზ.-მ მიმართა უძრავი ქონების დაგირავების მიზნით, რომელიც იმყოფებოდა მისი ახლობლის საკუთრებაში, ხოლო დაგირავებისთვის გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო 25 000 აშშ დოლარი. მ. ჯ.-მ ქონების დაგირავების მიზნით განცხადება განათავსა, რის შემდეგაც დაუკავშირდა ნ. გ.. მოწმე შეხვდა ნ. გ.-ს და გააცნო პირობები, თუმცა მოგვიანებით მან უარი განაცხადა ბინის დაგირავებაზე.

2.2 2019 წლის მარტის თვეში, მოწმეს ტელეფონით დაუკავშირდა ნ. გ. და აცნობა, რომ მან ქონება იგირავა უშუალოდ მ. ზ.-სგან. მოწმემ შეიტყო, რომ ქონებაზე გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება და არა იპოთეკის ხელშეკრულება. მოწმის განმარტებით, ის უშუალოდ არ შესწრებია ფაქტს, როდესაც ადვოკატმა ნ. ს.-მ მ. ზ.-ს წინააღმდეგ დავის დაწყების სანაცვლოდ ი. ბ.-ს შესთავაზა ა.-ს ქუჩაზე მდებარე სარდაფის ნაწილის გადაფორმება.

3. ადვოკატის პოზიცია:

3.1 2020 წლის 18 ივნისს ადვოკატმა ნ. ს.-მ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში წარმოადგინა განმარტება. ადვოკატის განმარტებით, ის არის ნ. გ.-ს ბავშვობის მეგობარი და თანაქალაქელი. 2019 წელს ნ. გ. ეძებდა საცხოვრებელ სახლს, რა დროსაც შეხვდა მ. ზ.-ს. ამ უკანასკნელმა ნ. გ.-ს შესთავაზა მის საკუთრებაში არსებული ფართები. ნ. გ.-მ მ. ზ.-სგან შეიძინა სარდაფი 10 000 აშშ დოლარად, ხოლო ო.-ს ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელ ბინაზე (რომელიც არ იყო რეგისტრირებული მ. ზ.-ს სახელზე, რადგან არ იყო ექსპლუატაციაში შესული) დაჰპირდა, რომ გაფორმებულიყო ნასყიდობის ხელშეკრულება, ნ. გ.-ს უნდა გადაეცა 11 000 აშშ დოლარი, ხოლო მას შემდეგ რაც ქონება დარეგისტრირდებოდა, მათ შორის გაფორმდებოდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება. ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდო 2019 წლის 30 აგვისტოს. ადვოკატის განმარტებით, ამ ურთიერთობაში ის არ წარმოადგენდა ნ. გ.-ს, რადგან მას საკუთარი გამოცდილება ჰქონდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებების დადებაში. ადვოკატს მხოლოდ მიბარებული ჰქონდა თანხა და ამ პერიოდში თბილისში იმყოფებოდა ნ. გ.-სთან სტუმრად.

3.2 ადვოკატის განმარტებით, ის დაესწრო მ. ზ.-სა და ნ. გ.-ს შორის საუბრებს და სწორედ მან ურჩია ნ. გ.-ს, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერისა და ხელშეკრულების გარეშე მ. ზ.-სთვის თანხა არ გადაეცა. ნ. გ.-სთვის ხელსაყრელი იყო ბინის მდებარეობა შვილების სკოლის სიახლოვის გამო, რისთვისაც ნ. ს.-ს უფლება მისცა თანხა გადაეცა მ. ზ.-სთვის. სწორედ ამ პერიოდში მ. ზ.-მ შეიტყო, რომ ნ. ს. იყო ადვოკატი, რის შემდეგაც დაუპირისპირდა ნ. გ.-ს და მოსთხოვა ო.-ს ქუჩაზე არსებული სახლის დატოვება, მიუხედავად იმისა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერი ჯერ კიდევ არ იყო დამზადებული, რადგან ბინა კვლავ არ იყო ექსპლუატაციაში შესული. მ. ზ.-მ ნ. გ.-ს გამოსახლების საფუძვლით მიმართა პოლიციას, რის შემდეგაც ადვოკატმა ნ. ს.-მ ამოწერა ორდერი და 2020 წლის 10 მარტიდან ჩაერთო დავაში ადვოკატის სტატუსით.

3.3 ადვოკატის განმარტებით, ნ. გ.-ს მიერ სარდაფის ყიდვის შემდეგ, ადგილზე მისვლისას გაიცნო ი. ბ., რომელმაც ადვოკატს სთხოვა იურიდიული კონსულტაციის გაწევა. ი. ბ. არის ნ. ს.-ს კლიენტი და ადვოკატი კონფიდენციალობის პრინციპიდან გამომდინარე არ საუბროს საქმის დეტალებზე. ადვოკატი უარყოფს ი. ბ.-სთვის შეთავაზების ფაქტს - სარდაფის ფართის ნაწილის საკუთრებაში გადმოცემის თაობაზე. ასეთ შეთავაზებას ადვოკატი არ გააკეთებდა, ვინაიდან ი. ბ. არ არის მესაკუთრე და მას არ აქვს ფართის განკარგვის უფლება.

3.4 ადვოკატი მიიჩნევს, რომ საჩივრის წარმოდგენის მიზანი არის ი. ბ.-ს დაცვის პროცესში ადვოკატისთვის ხელშეშლა, რადგან მან აღარ გააგრძელოს მისი ინტერესების დაცვა.

II სამოტივაციონაწილი

4. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

4.1 ადვოკატი ნ. ს. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო.

4.2 მ. ზ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2020 წლის 21 აგვისტოს.

4.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2019-2020 წლებში. შესაბამისად, დაცულია ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2)

5. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ნ. ს.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიით, ადვოკატმა ნ. ს.-მ დაარღვია ინტერესთა კონფლიქტის დაცვის ვალდებულება, რადგან ის იცავდა მის ინტერესებს, ამჟამად კი იცავს მ. ზ.-ს მოწინააღმდეგე მხარის ინტერესებს. ასევე, ადვოკატი ნ. ს. ერთდროულად იცავს საჩივრის ავტორის ოჯახის წევრის - ი. ბ.-ს ინტერესებს და ამავე დროს იცავს საჩივრის ავტორის მოწინააღმდეგე მხარის ინტერესებს.

6.2 ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ ნ. ს.-ს მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

> ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 8.1 მუხლი: ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას“.
>
> ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 6.1 მუხლი: ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე“.

6.3 ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშვება მაშინ, როდესაც ადვოკატის ვალდებულებები არსებული ან ყოფილი კლიენტის მიმართ ან ადვოკატის პირადი ინტერესები ეწინააღმდეგება არსებული ან ყოფილი კლიენტების ინტერესებს ან აუარესებს მათ მდგომარეობას. ადვოკატმა უნდა შეინარჩუნოს ყოფილი კლიენტის ნდობა და არ დაუშვას მისგან მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების საფრთხე, სხვა პირთა ინტერესების ხარჯზე.

6.4 „ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშობა, თუ ადვოკატის მიერ განხორციელებულ წარმომადგენლობაზე არსებით და უარყოფით გავლენას ახდენს ადვოკატის პირადი ინტერესი ან ვალდებულება კლიენტის, ყოფილი კლიენტის ან მესამე პირის მიმართ“ (ეთიკის კომისის 2011 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება, დისციპლინურ საქმეზე №092/10).

6.5 საჩივრის ავტორის პრეტენზიებიდან გამომდინარე უნდა დადგინდეს არსებობდა თუ არა მასა და ადვოკატ ნ. ს.-ს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა, რომელიც უნდა დაიწყოს მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით, წერილობითი ან ზეპირი ხელშეკრულების

საფუძველზე. ასეთი ურთიერთობის არსებობაზე, განსხვავებული პოზიციები დააფიქსირა საჩივრის ავტორმა საპროცესო კოლეგიის სხდომაზე გაკეთებულ განცხადებაში და წერილობით წარმოდგენილ განცხადებაში, ხოლო ადვოკატი ასეთი ურთიერთობის არსებობას გამორიცხავს. ადვოკატი მიუთითებს, რომ მ. ზ.-ს მოწინააღმდეგე მხარის ინტერესების დაცვის მიზნით ჩაერთო 2020 წლის 10 მარტს, მხოლოდ მას შემდეგ, რაც მ. ზ.-მ საგამოძიებო ორგანოს მიმართა ნ. გ.-ს გამოსახლების მოთხოვნით, ხოლო მ. ზ.-სა და ნ. გ.-ს შორის 2019 წლის 30 აგვისტოს ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების დროს ის არ მონაწილეობდა ადვოკატის სტატუსით, რომელიმე მხარის სასარგებლოდ.

6.6 ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგია მხარეთა განმარტებების საფუძვლიანობას ამოწმებს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში, საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ ადვოკატ ნ. ს.-ს და საჩივრის ავტორს შორის არსებობდა შეთანხმება ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყების და მ. ზ.-ს ინტერესების დაცვის განხორციელებაზე. ასევე, არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა ადვოკატის მიერ მ. ზ.-ს სასარგებლოდ განხორციელებულ რაიმე სახის სამართლებრივ მოქმედებას. ასეთი ურთიერთობის არსებობას გამორიცხავს მხარეთა ურთიერთსაწინააღმდეგო განმარტებებიც.

6.7 იმ პირობებში, როდესაც არ არსებობს ადვოკატსა და საჩივრის ავტორს შორის ადვოკატ კლიენტის ურთიერთობა, კოლეგია ვერ იმსჯელებს ადვოკატ ნ. ს.-ს მხრიდან ინტერესთა კონფლიქტის დაცვის ვალდებულების დარღვევაზე, ვინაიდან მას არ ჰქონდა აღებული პროფესიული ვალდებულებები საჩივრის ავტორის მიმართ, შესაბამისად არ არსებობდა რაიმე სახის წინააღმდეგობა საჩივრის ავტორის მოწინააღმდეგე მხარის ინტერესების დაცვის განხორციელების პროცესში.

6.8 საპროცესო კოლეგია ვერ იმსჯელებს პრეტენზიაზე, რომელიც ეხება ადვოკატ ნ. ს.-ს მიერ საჩივრის ავტორის ოჯახის წევრის - ი. ბ.-ს ინტერესების დაცვას, საჩივრის ავტორის მოწინააღმდეგე მხარის ინტერესების დაცვის პარალელურად, ვინაიდან მ. ზ. არ არის უფლებამოსილი განმცხადებელი მოცემული პრეტენზიის ფარგლებში. საპროცესო კოლეგია მიუთითებს, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში ნ. ს.-ს მიერ საადვოკატო მომსახურების განხორციელების პროცესში წარმოშობილ პრეტენზიებზე უფლებამოსილი განმცხადებელი შეიძლება იყოს ადვოკატ ნ. ს.-ს კლიენტი. გარდა ამისა, საპროცესო კოლეგია ვერ ადგენს ი. ბ.-სთან მ. ზ.-ს ოჯახურ ან რაიმე სახის კავშირს. თავად საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ი. ბ. არის ფსიქიკურად დაავადებული პირი, მასზე მზრუნველობა აღებული აქვს მას, მაგრამ არ აქვს მზრუნველობის დამდგენი დოკუმენტი. შესაბამისად, მ. ზ.-ს არ აქვს უფლებამოსილება წარმოადგინოს ი. ბ.-ს ინტერესები. უფლებამოსილების დამდგენი დოკუმენტის არსებობის პირობებშიც კი პრეტენზიის განხილვა ვერ მოხდება მოცემული დისციპლინური საქმის ფარგლებში.

6.9 ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ არ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი ადვოკატ ნ. ს.-ს მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე და მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 8.1 მუხლისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 6.2

მუხლის დარღვევას. შესაბამისად, არ არსებობს ადვოკატ ნ. ს.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30.1 და 40.1 მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №040/20 ადვოკატ ნ. ს.-ს მიმართ, /სიითი №/, არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/